

შპს „გეო ენერჯი“

ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 68ა

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

1. ზოგადი ინფორმაცია;
2. დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
3. ინფორმაცია საპროექტო საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი), სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესახებ;
4. გარემოზე ზემოქმედება;
5. ფილტრების სერთიფიკატი;
6. ხმაურის დონე;
7. სატრანსპორტო ნაკადი;
8. სუნი;
9. გამწვანება;
10. საწარმოს ადგილმდებარეობა და გენგეგმა;
11. ანალოგიური საწარმოების ფოტო მიმოხილვა;
12. ნარჩენების უვნებლობის სამხარაულოს დასკვნა;

ზოგადი ინფორმაცია:

კომპანიის დასახელება:	შპს გეო ენერჯი	
მისამართი:	რუსთავის გზატკეცილი 68ა. თბილისი.	
საქმიანობის სფერო:	წიაღისეულის გადამუშავება, ექსპორტი.	
დაგეგმილი საწარმოს საერთაშორისო სტანდარტები	ISO 14000 სტანდარტი (გარემოზე ზემოქმედების), ISO 18001 სტანდარტი	
კონტაქტი:	geoenergyfonichala@yahoo.com	599270479

დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა; როგორც მოგეხსენებათ საქართველოს ეკონომიკისთვის ფეროშენადნობები სტრატეგიულ საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. ამ საწარმოებზე მოდის დარგში არსებული ექსპორტის 90%-ი რომელიც 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 447 მილიონ აშშ დოლარს 2022 წლის იანვარ ოქტომბრის მონაცემებით. საწარმო წარმოადგენს ახალი გენერაციის ტიპს, თანამედროვე მანქანა დანადგარების და სრულად კომპიუტიზირებული სინხნოლურად მომუშავე სერთიფიცირებულ წარმოებას, პროექტი ხორციელდება ISO 14000 და ISO 18000. პროექტის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილი ერთი 7 მგვა სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის დამონტაჟება რომლის წარმადობა იქნება 0.97 ტ/ სთ. საწარმოო და სასაწყობე ფართი არის დახურული ტიპის, როგორც ნედლეულის ასევე მზა პროდუქციისთვის, ასევე ნარჩენების - წიდისთვის. საწარმოო შენობაში განთავსებული სასაწყობე, სპეციალურად მოწყობილი საყრელიდან, ღუმელში კონვეინერული სისტემით

მიეწოდება ნედლეული ღუმელს, გამოდნობახდება ყოველ 2 საათში. გამოდნობილი პროდუქცია ისხმევა ყალიბებში, შენობაში, საიდანაც შემდგომ ხდება ტომრებში (ე.წ „ბიგ ბეგებში“) გადატანა და სარიალიზაციოთ კონტეინერებში დატვირთვა ასევე

შენობაში სპეციალურად მოწყობილ ბაქანზე. მყარი ნარჩენების - წიდის გამოდნობა ხდება ეგრეთწოდებული მშრალი გაგრილებით, წიდა ჩაისხმება სპეციალურ ყალიბებში, 100 x 80 x 20 ზომის ფორმებში, საწარმოო შენობაში მოხდება ჩამოსხმული ფორმების - წიდის დასაწყობება და ყოველ 2 დღეში მოხდება მისი ტრანსპორტირება სხვა საწარმოში შემდგომი გადამუშავების მიზნით, სამშენებლო მასალების საწარმოებლად. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ემისიების გაწმენდის მიზნით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი გაწმენდის სისტემის მოწყობა, რომლის შემადგენლობაში იქნება ციკლონი და სახელოებიანი ფილტრები. გაწმენდის ეფექტურობა შეადგენს 99.8%-ს. აირგამწმენდი შემგვროვებლები გათვალისწინებულია როგორც მზა პროდუქციის, ასევე წიდის ასევე ჩამოსხმის დროს, რაც სრულიად გამორიცხავს მომუშავე პერსონალის, ან და გარემოზე ზემოქმედებას, აირგამწმენდი ფილტრებს აქვს საავარიო დამატებითი სექციები, და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში გადაერთვება დამატებით სექსიებში. ასევე წარმოდგენილია ფილტრების სერტიფიკატები და პასპორტი. საწარმოო ფართის გარდა, საწარმოო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია, ოფისი, ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, გასახდელი, აბაზანა, სასადილო, დარაჯის ოთახი, სასწორი თავისი მცირე ზომის ოთახი, ზეთებისთვის განსაზღვრული სპეციალური დაცული ტერიტორია.

ინფორმაცია საპროექტო საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი), სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესახებ;

სამუშაო პროცესი არის 24 საათის, 365 დღის განმავლობაში, საწარმოში იმოქმედებს ოთხ ცვლიანი გრაფიკი, თვითოეული ცვლა იმუშავებს კვირაში 5 დღეს 8 საათის განმავლობაში. 1 ცვლა: ცვლის უფროსი -1, წარმოების ინჟინერი -1, უსაფრთხოების მენეჯერი -1, მემენაქანე - 5, ოპერატორი -3, დამხმარე -10, ასევე: კომპანიის დირექტორი, წარმოების მენეჯერი, ბუღალტერი 2, ლაბორანტი 2, მზარეული -2, დამლაგებელი -2, დაცვა 3 ცვლიანი -6. საწარმოში დასაქმდებიან 104 თანამშრომელი. დასაქმებულთა საშუალო ხელფასი განსაზღვრულია 1000-2000 ლარამდე. საწარმოო პროცესის დაწყებიდან 3 თვით ადრე განთავსდება, ორთაჭალის გამგეობის, ახლო მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში განცხადებები ვაკანსიების შესახებ, მსურველების შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია დაასაქმოს 60 ადგილობრივი,

მსურველებს ექნებათ შესაძლებლობა გადამზადება - ინსტრუქტაჟი გაიარო რუსთავეში არსებულ საწარმოში, ასევე ტექნიკური, უსაფრთხოების მენეჯერებმა ჩაუტარონ ინსტრუქტაჟი, მოამზადონ და შეასწავლონ საწარმოს მუშაობის პრინციპი. ასევე ყველა თანამშრომელი იქნება არჭურვილი შესაბამისი კომპანიის სამოსით, კვებით, უზრუნველყოფილი ტრანსპორტით. ასევე მსურველებს შეუძლიათ გამოაგზავნონ CV შემდეგ მაილზე: geoenergyfonichala@yahoo.com

გარემოზე ზემოქმედება: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ემისიების გაწმენდის მიზნით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი გაწმენდის სისტემის მოწყობა, რომლის შემადგენლობაში იქნება ციკლონი და სახელოებიანი ფილტრები. გაწმენდის ეფექტურობა შეადგენს 99.8%-ს. აირგამწმენდი შემგვროვებლები გათვალისწინებულია როგორც მზა პროდუქციის, ასევე წიდის ჩამოსხმის დროს, რაც სრულიად გამორიცხავს მომუშავე პერსონალის, ან და გარემოზე ზემოქმედებას, აირგამწმენდი ფილტრებს აქვს საავარიო დამატებითი სექციები, და მწყობრიდან გამოსვლის ან და დაბინძურებული ფილტრების გამოცვლის შემთხვევაში გადაერთვება დამატებით სექსიებში. ასევე საწარმო, გარემის დაცვის სამინისტროს ახალი რეგულაციების მოთხოვნით, აღჭურვილი იქნება სპეციალური სენსორებით, რომელიც ყოველ 10 წუთში ერთხელ გადასცემს სიგნალს მონიტორინგის სამსახურს, და ერთი დარღვევის შემთხვევაშიც, კომპანია ვალდებულია გააჩეროს წარმოება და გამოასწოროს ხარვეზი. შედარებისთვის: ერთი ეგრეთწოდებული "კატალიზატორის" გარეშე ავტოსატრანსპორტო საშუალება უფრო მეტ ზიანს აყენებს გარემოს, ვიდრე ჩვენს ფილტრებში გაწმენდილი ჰაერი. (აღნიშნული დამოწმებული იქნება პროცესი დაწყებისთანავე ISO 14000 სერთიფიცირებით)

წარმოგიდგენთ ფილტრების სერთიფიკატს:



CERTIFICATE

ENVIRO TREAT ENGINEERS PVT. LTD.

217/1, EAST DULEPARA ROAD, P.O. MADRAL, DIST. 24-PARGANAS (N), PIN – 743126, WEST BENGAL, INDIA

has implemented and maintains a **Quality Management System**

MANUFACTURE & SUPPLY OF AIR POLLUTION CONTROL SYSTEM, FUME EXTRACTION SYSTEM & DUST DE-DUSTING SYSTEM SUCH AS BAG FILTERS, INDUSTRIAL FAN, SCRUBBER, CYCLONE WITH ACCESSORIES, FD COOLER, SPARK ARRESTOR, SCREW CONVEYOR, PUG MILL, DUST DISPOSAL VALVE & AXIAL FAN

Non-applicable Clauses : -

EA 18, 19

Through an audit, documented in a report, it was verified that the management System fulfills the requirements of the following standard:

ISO 9001:2015

Certificate registration no : QA-D/IND/9001/0716
Valid from : 24.06.2022
Valid until : 30.06.2025
Date of original certification : 01.07.2016
Certification cycle : 3 years

Overseas Operation Manager
Begüm ADAKAN
Stuttgart 2022.06.24

ALBERK QA TECHNIC GMBH
Theodor Heuss Strasse 6 D-70174
Stuttgart GERMANY
Tel: +49 711 9454 0621 Fax: +49 711 9454 4946
www.qatechnic.de



ხმაურის დონე: საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი

გვხდება ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 260 მ-ის დაშორებით. საანგარიშო წერტილში ხმაურის დონის გაანგარიშება ხდება ფორმულის გამოყენებით:

$$=86,8-15\lg 260-10\lg 2-10,5\cdot 260/1000-10\lg 2 \pi=43\text{დბა}$$

ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების მაქსიმალურმა დონემ შეიძლება შეადგინოს 86.8 დბა, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლთან გაანგარიშებით მიღებული მნიშვნელობა არის 43 დბა. ამასთან საგულისხმოა, რომ ხმაურის გამომწვევი სტაციონარული ყაროები განთავსებული იქნება დახურულ სივრცეში (რკინა-ბეტონის შენობაში), ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე ტერიტორიაზე არსებობს სხვადასხვა ხმაურის გავრცელების ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები (როგორც მაგალითად არის მეზობლად მდებარე საწარმოების შენობა-ნაგებობები), რომლებიც მინიმუმ 10-15 დბა-ით შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შპს „გეო ენერჯი“-ის საქმიანობის შედეგად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელია ხმაურის დონეების შემცირება და ფაქტობრივად არ იქნება 33 დბა-ზე მეტი. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ დაგეგმილი საქმიანობის პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება.

სატრანსპორტო ნაკადი: ქარხნის სრული დატვირთვის შემთხვევაში: ერთ (24 საათში) დღეში საჭიროა 50 დონა ნედლეული, 2 სატვირთო, და მზა პროდუქციისთვის 20 ტონა ერთი სატვირთო, ნარჩენებისთვის (წიდისთვის) 1 სატვირთო. დღიური ნაკადის რაოდენობა 2 შესვლა, 2 გამოსვლა. ასევე ხშირ შემთხვევაში პროდუქცია მოწოდებული იქნება სარკინიგზო ჩიხით, რაც უფრო მეტად შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადს. ასევე დღეში 3 ჯერ იმოდრავებს თანამშრომლებისთვის განსაზღვრული მიკროავტობუსი.

სუნი: საწარმოდან სუნის გავრცელება საერთოდ არ იქნება, აღნიშნული პროცესი აბსოლიტურად უსაფრთხოა და არანაირ სუნს არ განავრცობს.



გამწვანება: პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 380 ხის დარგვა. რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მიმდებარე ლანდშაფტს.

წარმოგიდგენთ ჩვენი ქარხნის ადგილმდებარეობას და გენგეზმას:

ფონიჭალა
7 მგვ




საწყობი, წიდის საწყობი მოქცეული დახურულ სივრცეში, რაც თითქმის ნოლამდე დაყავს გარემოზე ზემოქმედება.




ანალოგიური ქარხნების სურათები და ადგილმდებარეობა
ევროპის და ამერიკის მაშტაბით:

აღნიშნული ქარხნები არის მინიმუმ 15 ჯერ დიდი მოცულობის,
შედარებით ჩვენი პროექტისა.



პოლონეთი - 250 მეგავატი



პოლონეთი - 250 მეგავატი




აშშ - 125 მეგავატი ტეხასი



აშშ - 125 მეგავატი ტეხასი






აშშ - 150 მეგავატი ოპიონი



აშშ - 150 მეგავატი ოპიონი



-ნორვეგია 280 მეგავატი






-ნორვეგია 280 მეგავატი



მაკედონია 180 მეგავატი

მაკედონია **180** მეგავატი





**წარმოგიდგენთ ნარჩენების (რომლის ტრანსპორტირება მოხდება
შემდგომი სამშენებლო მასალების წარმოების მიზნით სხვა
საწარმოში) სამხარაულის დასკვნას უვნებლობაზე:**



ს ს ი პ ლ ე ვ ა ნ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა





ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW



5007421720

№ 5007421720

14/12/2020 6

შპს "გრუპი"-ს დირექტორს

ბატონ ლევანი ყიზილაშვილს

(თბილისი, კეკელიძის 28/30, ბ. #16)

ბატონო ლევან,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2020 წლის 10 დეკემბრის რეგისტრაციის N1008093120) საფუძველზე, გიგზავნით რადიაციული ექსპერტიზის N007571320 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 02 ფურცლად;

1. სინჯი - ერთი ფურცელი;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე

ბიუროს უფროსის მოადგილე



007571320

ექსპერტის დასკვნა № 007571320

გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: რადიაციული

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს "გრუპი"

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი, კეკელიძის 28/30, ბ. #16

სახელი და გვარი: ლევანი ყიზილაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ნუგზარ გუბაძე / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 36 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, შეამოწმოთ რადიაციაზე ჩემს მიერ წარმოდგენილი ფერო-სილიკომანგანუმის გრანულირებული წიდა დაჩქარებული წესით.

შემოსვლის თარიღი: 10/12/2020 წ

გასვლის თარიღი: 14/12/2020 წ

დასკვნა

დოზიმეტრულმა და სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შ.პ.ს. „გრუპი“-ს მიერ წარმოდგენილ ნიმუშში - ფერო-სილიკომანგანუმის წიდა, რადიონუკლიდების ჯამური რადიოაქტიურობა არ აღემატება ფონურ დონეს და შესაბამისად, უსაფრთხოა რადიაციის თვალსაზრისით.

ნუგზარ გუბაძე

გამოკვლევა

შ.პ.ს. „გრუპი“-ს წარმომადგენელმა ლევან ყიზილაშვილმა რადიაციულ ექსპერტიზაზე წარმოადგინა სინჯი - ერთი ტომარა, რომელიც კვანძთან შეკრულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასალუქი წითელი ლენტით.



007571320

ექსპერტის დასკვნა № 007571320

გახსნის შემდეგ, ტომარაში აღმოჩნდა მუყაოს ფერო-სილიკომანგანუმის წიდის სინჯი. ობიექტი, პირველ ეტაპზე, გამოკვლეულ
ქნა დოზიმეტრით "LUDLUM 2241-2 SURVEY METER". დოზიმეტრულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ გამოსხივების დოზის
სიმძლავრე არ აღემატება ფონურ დონეს. ამის შემდეგ, ნიმუშს ჩაუტარდა სპექტრული ანალიზი გამა-ანალიზატორით "AH-
1024" სცინტილაციური დეტექტორით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სინჯში საერთო აქტიობა არ აღემატება ფონურ დონეს და
შესაბამისად, წარმოდგენილი ნიმუში, ფერო-სილიკომანგანუმის წიდა, უსაფრთხოა რადიაციის თვალსაზრისით.

ნუგზარ გუბაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ლევან სიმონიშვილი

სსიპ კონსულტანტია

სამართლებრივი დახმარების ცენტრი

აღმშენებლის ხეივანი მე-6 კმ, თბილისი, საქართველო

ტელ.: (+995) 599322232; (+995) 599 29 45 12; ელ-ფოსტა: info@irb.ge

ნიმუშის მიღების თარიღი: 01.06.2020

ოქმის გაცემის თარიღი: 22.06.2020

ოქმი# 285

მასალის ანალიზი


დამკვეთი	შპს "გრუპი"
ობიექტი	-

მარცვლოვანი შემადგენლობა (გრანულომეტრია) EN 933-1:2012								
გასვლა, % მთლიანი მასიდან								
0,063	0,125	0,25	0,5	1	2	4	8	16
2,0	3,3	4,9	9,2	27,5	70,2	94,3	100	100
სრული ნარჩენი, %								
98,0	96,7	95,1	90,8	72,5	29,8	5,7	0,0	0

მაჩვენებლები	სიდიდე
ჯდენის კოეფიციენტი	1,34
ტენიანობა %	2,3
ნაყარი მოცულობითი მასა, კგ/მ3	761

შეფასება: მასალა წარმოადგენს ფერო-სილიკომანგანუმის გრანულირებულ წიდას ფრაქციით 0-4.

შემსრულებელი:  თაფციაური

ლაბორატორიის ხელმძღვანელი:  ვ. ყიფიანი



